

ცნობა

2018 წლის 30 ნოემბრის ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შესახებ

მიმდინარე წლის 30 ნოემბერს დღის 12:00 საათზე გაიმართება ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა (მის: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქუჩა N1 ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) შემდეგი დღის წესრიგით:

საკითხი 1. „ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: რამაზ გელაძე - ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

საკითხი 2. დაბა ხულოში, ხიმშიაშვილის ქუჩა N5-ში მდებარე 1170 კვ.მ. არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ N23.11.31.023), სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხსენებელი: ზურაბ თავართქილაძე - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგის წარმოებას ახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შეუძლიათ დღის წესრიგის თაობაზე ცნობის გამოქვეყნებიდან 2018 წლის 27 ნოემბერს დღის 13:00 საათამდე საკრებულოს აპარატში (მის: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქუჩა N1 ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მესამე სართული). ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (დადგენილება, განკარგულება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 30 ნოემბერი.